ხელისუფლება კიდევ უფრო გათავხედდება

გაზეთი “ახალი თაობა” – 11-12 ივნისი, № 137, 2011.

ექსპერტი ლადო პაპავა სახალხო კრების აქციებს თავიდანვე სკეპტიკურად უყურებდა და არც ოქრუაშვილის დაპირება-დაქადნებებს ანიჭებდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ექსპერტი ოქრუაშვილს უზრდელ პიროვნებას უწოდებს, ხოლო იმას, რომ ოქრუაშვილი და მისნაირები ქართველ ხალხს დღემდე აბრიყვებენ, ეს ლადო პაპავას აზრით, ქართველი ხახლის სისუსტის მაჩვენებელია.

– სააკაშვილის მხარდამჭერი რომ არ ვარ, მკითხველმა კარგად იცის. მაგრამ სააკაშვილი განა შეიძლება, რომ არ ის მინდოდეს და მინდოდეს ოქრუაშვილი? – აცხადებს პაპავა. მისი თქმით, მხოლოდ არჩევნებზე მაქსიმალური დასწრებით და შემდგომ ხმების დაცვით არის შესაძლებელი სააკშვილის ანტიდემოკრატიული ხელისუფლების გაშვება.

რა შანსები აქვს ოპოზიციურ რვიანს, ემუქრება თუ არა არსებულ პოლიტიკურ რეალობაში სააკაშვილს ხელისუფლების ვადაზე ადრე დატოვება და რა ნაკლი აქვს ლევან გაჩეჩილაძეს, რის გამოც ის უცხოელების (და არა მარტო) მიერ პოლიტიკოსად არ აღიქმება? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ექსპერტ ლადო პაპავასთან.

– ბატონო ლადო, პოლიტიკოსების ნაწილი ამტკიცებს, რომ რევოლუციური გზა რომ მცდარია. ეს 26 მაისმაც დაგვანახა. რა შანსები აქვს ოპოზიციურ რვიანს?

– ოპოზიციური რვიანის შანსები მართალია მცირეა, მაგრამ მათი არ გამოყენება შეცდომაა.

– აქციის დარბევამდე ცოტა ხნით ადრე ხელისუფლებამ პალიკო კუბლაშვილის სახით გამოკვეთა, რომ რვიანთან არაფრის დათმობას არ აპირებს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით.

– არშემდგარი რევოლუციების ფონზე ხელისუფლება კიდევ უფრო გათავხედდება, კიდევ უფრო აგრესიული გახდება... თუმცა, აქციის დარბევის შემდეგ საერთაშორისო ზეწოლა ხელისუფლებაზე გაძლიერდება იმ კუთხით, რომ მომავალი არჩევნები დემოკრატიული და სამართლიანი იყოს.

– სიტუაციიდან გამომდინარე ფიქრობთ, რომ მოქმედი ხელისუფლება ჩაასრულებს მმართველობის პერიოდს? მას ვადაზე ადრე გაშვების საფრთხე არ ემუქრება?

– არა, ახლა არაფერი მათ არ ემუქრებათ. მაისის აქციებზე დიდი ოდენობის ხალხი ქუჩაში არ გამოვიდა. ოქრუაშვილმა სრული კრახი განიცადა. ბურჯანაძეც არ აღმოჩნდა წარმატებული. სახალხო კრებას არ აღმოაჩნდა ის რესურსი, რომ მარტო ნურჯანაძის პარტიის იმედად არ ყოფილიყო. იმიტომ, რომ პრაქტიკულად არ აღმოჩნდა პოლიტიკური გამოცდილების ხალხი და ამიტომ იქ ე.წ. "ვერხი" ბურჯანაძემ აიღო და სხვა პარტიები, რომლებიც კრებაში იყვნენ ყველა გაყარა.

– ეს გასაგებია, მაგრამ ლევან გაჩეჩილაძე სახალხო კრების აქციაზე მივიდა და შერიგების ნიშნად ბურჯანაძე გადაკოცნა. სურვილის შემთხვევაში სხვა პოლიტიკოსებსაც შეეძლოთ კრების მხარდაჭერა.

– გაჩეჩილაძემ კი გადაკოცნა ბურჯანაძე, მაგრამ შალვა რამიშვილმა ბრწყინვალე კადრი გვიჩვენა. როდესაც შალვა ეხვეწება ბადრი ბიწაძეს: აგერ ახლო დგას გაჩეჩილაძე, ნინოს ხომ აკოცა, მოდი ახლა და თქვენ ხელი ჩამოართვით. ბიწაძემ უთხრა, არა, მარჯვენა ხელი მტკივა, მარცხენათი ხომ არ ჩამოვართმევო. ამ შემთხვევაში ჩემთვის გაჩეჩილაძეს ქმედება უფრო გასაგებია. შეიძლება მისაღები ნაკლებად იყოს, მაგრამა ამათგან განსხვავებით გაჩეჩილაძე მაინც უფრო ალალია. სწორედ ამიტომ არის, რომ გაჩეჩილაძე საზოგადოების გარკვეულ ნაწილში სიმპათიას იმსახურებდა, თუმცა ის პოლიტიკოსი არანაირად არ არის. უბრალოდ, გაჩეჩილაძე ქართულ პოლიტიკაში "კარგი ბიჭის" იმიჯს ქმნის. მაგრამ ეს პოლიტიკური გამარჯვებისთვის საკმარისი არ არის. კიდევ იბადება კითხვა, მართლა ბოლომდე "კარგი ბიჭია" გაჩეჩილაძე თუ არა.

– ანუ ამ ოპოზიციას პერსპექტივა უკვე მოესპო?

– ამ ოპოზიციას ალბათ აქამდეც დიდი პერსპექტივა არ ჰქონდა. ოპოზიციური რვიანის შანსია (თუმცა არა ერთადერთი), რომ ძლიერი ზეწოლა იყოს დასავლეთიდან სააკაშვილის რეჟიმზე.

– პოლიტიკურ რეპრესიებს გამორიცხავთ?

– დიდ რეპრესიებს მე არ მოველი. ერთი მარტივი მიზეზის გამო: იმიტომ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები მოდის და ამიტომ ხელისუფლებას არანაირად არ აწყობს გაამწვავოს ამომრჩევლებთან თავის ურთიერთობა. ხელისუფლება იმედოვნებს, რომ როცა 2012 წლის არჩევნები შედგება, დასავლეთის დამკვირვებლები იტყვიან, რომ რა თქმა უნდა, იყო შეცდომები, იყო დარღვევები, თუმცა ეს იყო უკეთესი არჩევნები, ვიდრე წინა. ეს იყო

წინგადადგმული ნაბიჯი. ნაციონალური მოძრაობის გამარჯვებას საკმაოდ სერიოზული პროტესტით შეხვდება თბილისი. მერე რა, თბილისი დადგება ქუჩაში, მაგრამ პარლამენტი ქუთაისში შეიკრიბება. ქუთაისში პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბებას კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდება, ასე რომ საპროტესტო აქციების ქუთაისში გადატანა უფრო რთული შეიძლება აღმოჩნდეს ვიდრე პარლამენტის გადატანაა. ამიტომ 2012-2013 წლებში სააკაშვილი უნდა თვლიდეს, რომ ამ მოვლენებს საკმაოდ ადვილად გადააგორებს. ამას ემატება ერთი რამეც. 2012 წლის შემოდგომაზე ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნებია. ანუ მაშინ, როცა ჩვენთან საპარლამენტო არჩევნებია, იქ არის საპრეზიდენტო არჩევნები. ამერიკელებს ჩვენთვის დიდად არ ეცლებათ. ესეც არ ვიცი, შესანიშნავად გათვლილია თუ შემთხვევით დაემთხვა.

– მოდით, პრეზიდენტზე ვისაუბროთ. რა ნაბიჯებით მოქმედებს ქვეყნის პირველი პირი ძალაუფლების შესანარჩუნებლად?

– პირველი: სააკაშვილს აქვს ორატორობის შესანიშნავი ნიჭი. ის, კარგი გაგებით, ძლიერი "პოლიტიკური ცხოველია". ის გრძნობს სიტუაციას. ის ხვდება, სადაც საჭიროა შეუძლია იტიროს. სადაც სჭირდება შეუძლია თავი მოისაწყლოს.

– ამას სააკაშვილი თავად ხვდება თუ ძვირადღირებული პიარ-ჯგუფები ურჩევენ ამის გაკეთებას?

– მე მგონი, მას საკმაოდ კარგი ინტუიცია აქვს. არა მგონია, სააკაშვილი ყოველთვის ყველას უჯერებდეს. იმპულსური პიროვნებაა. ანუ ინტუიცია აქვს საკმად კარგი და რა თქა უნდა, მერე მასზე მუშაობს მთელი სახელმწიფო მანქანა ტელევიზიების ჩათვლით. ზოგიერთი ტელე ჟურნალისტი იმდენად უნამუსოა, რომ ჰგონია, რომ მართლა ის არის ჟურნალისტი და იმიტომ არის თურმე, რომ ასეთი კარგი დაფინანსება რომ აქვს და ასე კარგად რომ არის "იმედში" თუ "რუსთავი 2"-ში. ეს არის აბსოლუტურად უნამუსო ხალხი.

– ამ უნამუსობის გამოხატულებაა იგივე სახალხო კრების აქციების გაშუქებისას აქციის მონაწილეების ღორებისთვის შედარება, რასაც კადრებით აჩვენებდნენ?

– რა თქმა უნდა. აქ მივადექით ერთ საინტერესო საკითხს: ის აგრესია, რომელოც აქციის მონაწილეებს აქვთ ხოლმე ჟურნალისტების მიმართ, მე ამას არ ვამართლებ, თუმცა მესმის. როგორ შეიძლება მშვიდად შეხვდე ჟურნალისტებს, რომლებსაც ყოველდღიურად თავზე ხელი აქვთ აღებული. მე მესმის ამ ხალხის, მაგრამ ასეთი რამე, რომ შეტევა იყოს ჟურნალისტებზე, ეს სერიოზული პოლიტიკური შეცდომაა. გაჩეჩილაძე რომ პოლიტიკოსი არ არის იქაც გამოჩნდა,

რომ თურმე საპროტესტო აქციაზე ჟურნალისტებს აკრედიტაციას დაუწესებს. ნინო ბურჯანაძეს რომ მასზე მეტი პოლიტიკური ალღო აქვს იმაში გამოჩნდა, რომ თქვა, ყველა ჟურნალისტს აქვს უფლება გააშუქოსო. გამწარებული ხალხი რომ ხედავს სახელისუფლო არხების კამერებს და ჟურნალისტებს, ღიზიანდება, რადგან ეს ჟურნალისტები მუშაობენ არა საქართველოსთვის, არამედ ხელისუფლებისთვის. ვინ ვის უნდა ებრძოლოს, როცა ამხელა საინფორმაციო მანქანაა ყველას წინააღმდეგ.

– რა ქნას ხალხმა, რომელიც ხედავს, რომ არც რევოლუციით იცვლება ეს გაუსაძლისი მდგომარეობა და არც არჩევნებით არ აპირებს ხელისუფლება ძალაუფლების დათმობას.

– ხალხმა უნდა ქნას შემდეგი: სახლში არ უნდა დაჯდეს, როცა არჩევნები იქნება. უნდა იყოს თითქმის 100%-იანი დასწრება. მკაფიოდ უნდა დააფიქსიროს თავის ხმა და მერე იბრძოლოს იმისთვის, რომ მისი ხმა არ დაიკარგოს. საქართველოში რეჟიმის შეცვლა არჩევნებით უნდა მოხდეს. ბოლო-ბოლო, როგორც მეტ-ნაკლებად დემოკრატიული სახელმწიფო, ხომ უნდა შევდგეთ.

– თქვენი აზრით, არჩევნების გაყალბების შემთხვევაშია გამართლებული მასობრივი პროტესტი?

– პირველ რიგში, ვფიქრობ, რომ ადამიანები სახლში არ უნდა დარჩნენ. უნდა მივიდნენ არჩევნებზე. თანაც მივიდნენ, რაც შეიძლება დიდი ოდენობით და მიიღონ მონაწილეობა და მერე დაუდგნენ ოპოზიციურ პარტიებს გვერდით, თუკი იქნება ხმების გაყალბება. ახალი სცენარი მოსაგონი არ არის. ეს ყველაფერი 2003 წელს იყო. უბრალოდ, ეს რესურსია გამოსაყენებელი.

– მაგრამ ანალოგიური სცენარით სვლამ ოპოზიციას შედეგი არ მოუტანა.

– ახლა რაც იყო, ეს არანაირი არჩევნები არ არის. ეს იყო აბსოლუტურად უაზრო ძალისხმევა მხოლოდ და მხოლოდ სააკაშვილის რეჟიმის გასაძლიერებლად და მეტი არაფერი. რაც შეეხება 2012 წლის არჩევნებს, სკოლა ხალხმაც გაიარა და პოლიტიკოსებმაც. საქართველოში ნამდვილად არის ცვლილებების დრო. მაგრამ ეს ცვლილებები მხოლოდ და მხოლოდ არჩევნებით უნდა განხორციელდეს, თუ გვინდა, რომ ოდესმე ნორმალურ, ცივილიზებულ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდეთ. ხოლო ეს რომ არჩევნების გზით განხორციელდეს, თითოეულმა ამომრჩეველმა თავის ხმა უნდა დაიცვას. ხოლო თუ ხმებს ვერ დავიცავთ, სააკაშვილის რეჟიმი იქნება 50 წელი, როგორც სინგაპურშია შესაბამისი რეჟიმი.

– დაბოლოს, ვისაუბროთ პარლამენტის ქუთაისში გადატანაზე და ქუთაისის მეორე დედაქალაქად ჩამოყალიბებაზე. ძლაუფლების შესანარჩულენლად გადააქავს სააკაშვილს პარლამენტი ქუთაისში?

– რა თქმა უნდა. მას უნდა პრემიერის პოსტი. საქართველოს ისტორიის უახლეს საბავშვო წიგნებში უკვე წერია, რომ 2008 წლიდან საქარველოს მეორე დედაქალაქი არის ქუთაისი. ქუთაისში მას არა მხოლოდ პარლამენტი გადააქვს, არამედ მთავრობის შენობასაც აშენებს. იცის, რომ იქ პროტესტის მასშტაბები იმხელა არ იქნება რამდენიც თბილისში.

– რამდენი მილიონი უჯდება სააკაშვილს და სახელმწიფო ბიუჯეტს ეს მშენებლობები?

– კაცმა არ იცის. აქაც საინტერესო რამ არის. ვიცით, რომ საქართველო იღებს დონორთა დახმარებას, როგორც რუსეთის აგრესიის მსხვერპლი. უზნეობაა, როცა შენ გეხმარება მთელი მსოფლიო იმისთვის, რომ ეკონომიკურად არ დაინგრე, რომ მოსახლეობას სოციალურად არ გაუჭირდეს და შენ ამ დროს ამ ფულით პარლამენტის მეორე შენობას აშენებ, როცა ამის აუცილებლობა არ არის. ამიტომ რა გააკეთეს ქვეყნის ხელმძღვანელებმა: ადგნენ და პარლამენტის შენობის დაფინანსება ხდება არა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არამედ ტრანსფერტი გაკეთდა ქუთაისის ბიუჯეტში. და ახლა ქუთაისის ბიუჯეტით ხდება მშენებლობა. რატომ? იმიტომ, რომ ის უცხოელი დონორი რომ ნახავს, სად არის ჩემი ფულიო, ეტყვიან ქუთისზე ტრანსფერტი გაკეთდაო. ამ ფულით კი პარლამენტის ახალი შენობა შენდება. ეს მშვენივრად იცის სააკაშვილმა და ნაციონალურმა მოძრაობამ, რომ საერთაშორისო ფინანსური დახმარების გამოყენების ეფექტიანობის თვალსაზრისით კარგ საქმეს არ აკეთებენ. აბა, საქართველოს პოლიტიკური ორგანოს შენობას ქუტაისის ბიუჯეტი უნდა აფინანსებდეს?

– შეიძლება ითქვას, რომ გაუმჭვირვალია, რა თანხებით შენდება ახალი პარლამენტი?

– რა თქმა უნდა, გაუმჭვირვალია. ჩვენ დღესაც არ ვიცით, რა დაჯდა პრეზიდენტის სასახლე. არ ვიცით, რა დაჯდება პარლამენტის შენობა და მთავრობის ახალი რეზიდენცია ქუთაისში. იმისთვის, რომ ჩვენ ყველაფერი ვიცოდეთ, ქვეყანაში ძლიერი უნდა იყოს კონტროლის პალატა.

შორენა კოწოწაშვილი